

მოსწავლის  ბიბლიოთეკა

ართურ კონან დოილი

შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი



ინგლისურიდან თარგმნა ელგუჯა მალრაძემ



გაქურსულაქაურის
გამომცემლობა

სარჩევნი

„აღლისფერი კვალი“	5
უცოლო დიდგვაროვანი.....	86
ბერილის გვირგვინი.....	119
მუდმივი პაციენტი.....	156
ბერძენი მთარგმნელი	180
შემთხვევა ინტერნატში	208
მოცეკვავე კაცუნები	252
მესგრეივების საგვარეულო წესი.....	286
მეორე ლაქა.....	314
ექვსი ნაპოლეონი.....	352
შავი პიტერი.....	378

„ალისფერი ავალი“

1

შერლოკ ჰოლმსი

1878 წელს ლონდონის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის ხარისხი მოვიპოვე და სამხედრო ექიმთა მოსამზადებელ კურსებზე შევედი. კურსების დამთავრების შემდეგ ნორთუმბერლენდის მსროლელთა მეხუთე პოლკში უმცროს ექიმად გამამწესეს. იმხანად პოლკი ინდოეთში იდგა და, სანამ დანიშნულების ადგილამდე მივიდოდი, ავლანეთის მეორე ომი ატყდა. ყანდაარამდე მშვიდობით ჩავედი, იქ ჩემი პოლკი მოვნახე და მაშინვე ახალი მოვალეობის შესრულებას შევუდექი.

ამ ომმა მრავალს მოუტანა პატივი და ბევრიც წასწია წინ სამსახურში. მე კი მხოლოდ მარცხი და უბედურება დამატყდა თავს. მაივანდთან გამართული საბედისწერო ბრძოლისას მხარში დავიჭერი. ტყვიამ ძვალი დამიმსხვრია და არტერია დამიზიანა. უთუოდ სასტიკი ფანატიკოსების ხელში ჩავვარდებოდი, ჩემი შიკრიკის ერთგულება და სიმამაცე რომ არა: ცხენის ზურგზე გადამანვინა და ჩვენს პოზიციაზე მიმიყვანა, საიდანაც მერე პეშევარში გამხიზნეს. ძლივს მომირჩა ქრილობა, რომ ახლა მუცლის ტიფი შემეყარა და რამდენიმე თვის შემდეგ გამოსაჯანსაღებლად ინგლისში გამგზავნეს.

ინგლისში არც ნათესავები მყავდა, არც ვინმე ახლობელი, სამაგიეროდ, ქარივით თავისუფალი ვიყავი, უფრო სწორად, თავისუფალი ვიყავი იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას დღეში თერთმეტი შილინგისა და ექვსი პენის შემოსავალი მაძლევდა.

რა უნდა მექნა? ლონდონში დავსახლდი და ერთ პატარა სასტუმროში დავბინავდი.

ძალიან მოუხერხებლად და უაზროდ ვცხოვრობდი. ფულს იმაზე უფრო თავისუფლად ვხარჯავდი, ვიდრე ჩემი შეძლების პატრონს შეეფერებოდა. მალე დავრწმუნდი, რომ ან ქალაქგარეთ უნდა გადავსახლებულიყავი, ან მკვეთრად შემეცვალა ცხოვრების წესი. მე ეს უკანასკნელი ვამჯობინე. გადავწყვიტე, სასტუმროდან გადავსულიყავი და სადმე უფრო იაფფასიანი ბინა მეპოვა.

იმ დღეს, როცა ეს გადაწყვეტილება მივიღე, ბარში ვიდექი. უცებ ვილაცამ მხარზე დამკრა ხელი. მივბრუნდი და ჩემი ძველი მეგობარი სტემფორდი დავინახე. ორივეს გაგვიხარდა შეხვედრა და მაშინვე საუბრეზე მივიპატიჟე.

– რა მოგსვლიათ, უოტსონ? – მკითხა სტემფორდმა დაუფარავი გაკვირვებით, – ლერწამზე ნვრილი ხართ და ნენგოიან კაკალზე მუქი.

მოკლედ ვუამბე, თავს რა ხიფათიც გადამხდა.

– საწყალი კაცი! – ჩაილაპარაკა, – ახლა რას აპირებთ?

– ბინას დავეძებ და შეუძლებელს ვცდილობ, ცოტა იაფად მინდა წესიერი ოთახი დავიქირავო.

– უცნაურია. ასეთი სურვილი დღეს უკვე მეორედ მესმის, – შენიშნა ჩემმა მეგობარმა.

– პირველად ვისგან მოისმინეთ?

– ერთი ყმანვილისაგან, რომელიც ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობს. დღეს დილით შემომჩივლა, ვერ მიპოვია

ამხანაგი, რომელთან ერთადაც ვიქირავებდი რიგიან ოთახს, მარტოხელას კი ქირის გადახდა გამიჭირდებაო.

– ეშმაკმა დალახვროს! სწორედ მე ვარ ასეთი კაცი.

სტემფორდმა ცოტა უცნაურად გადმომხედა და მითხრა:

– თქვენ არ იცნობთ შერლოკ ჰოლმსს, შეიძლება არ მოგეწონოთ და ვერც მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას შეეგუოთ.

– რატომ? ცუდი ზნის კაცია?

– ო, სულაც არ ვამბობ, ცუდი ზნისაა-მეთქი. უბრალოდ, ცოტა უცნაური იდეები აქვს. მეცნიერების ზოგიერთი დარგის ენთუზიასტია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, რომ სრულიად წესიერი ადამიანი იყოს.

– როგორც ვატყობ, სტუდენტი-მედიკოსი იქნება, არა? – ვკითხე მე.

– არა, წარმოდგენაც არა მაქვს მის პროფესიაზე. ისე კი, ჩინებულად ერკვევა ანატომიაში და შესანიშნავი ქიმიკოსია, თუმცა, რამდენადაც ვიცი, მედიცინა არასოდეს უსწავლია. მისი კვლევა უაღრესად ექსცენტრიკული ხასიათისაა, მაგრამ აქვს არაჩვეულებრივი ცოდნა, რითაც თავის პროფესორებს პირდაპირ აოცებს.

– არ გიკითხავთ, რა მიზანს ისახავს?

– არა, გულს ასე იოლად არავის გადაუშლის, თუმცა, როცა გუნებაზეა, ბევრი ლაპარაკი უყვარს.

– სიამოვნებით გავეცნობოდი, – ვუთხარი მეგობარს, – თუ ვინმესთან ერთად ცხოვრება მომიწევს, ისეთი კაცი მირჩევნია, რომელსაც სიმშვიდე და მუშაობა უყვარს. როგორ შევხვდე თქვენს მეგობარს?

– ალბათ ლაბორატორიაში იქნება. თუ გინდათ, ნასაუზმევს შევუაროთ.

ჰოსპიტლისაკენ წავედით და გზაში სტემფორდმა კიდევ მიაბო ზოგიერთი წვრილმანი იმ ჯენტლმენზე, ვისთან ერთადაც ბინის ქირაობას ვვარაუდობდი.

– თუ ვერ შეეწყობით, მე ნუ დამემდურებით. ჰოლმსი მეტისმეტად გატაცებულია თავისი კვლევა-ძიებით. ამ კაცს შეუძლია, თავის მეგობარს მცირე დოზით ალკოლოდი მიაღებინოს, ცუდი განზრახვით კი არა, უბრალოდ, კვლევისათვის, რომ ამ შხამის ზემოქმედების ძალა გაიგოს. დარწმუნებული ვარ, თვითონაც უყოყმანოდ მიიღებს შხამის ამდენივე დოზას. ეტყობა, ზუსტი მეცნიერებით მეტისმეტად გატაცებულია.

– ეს ძალიან კარგია.

– დიახ, მაგრამ უკიდურესობამდე არაფრის მიყვანა არ ვარგა. ის კი პროზექტურაში ზოგჯერ გვამებს ჯოხით სცემს კიდეც.

– გვამებს სცემსო?

– დიახ, რომ დაადგინოს, შეიძლება თუ არა სიკვდილის შემდეგ სისხლჩაქცევის გამონვევა. ეს ჩემი თვალით ვნახე.

– თქვენ კი ამბობთ, მედიკოსი არ არისო.

– არა, მედიკოსი არაა. ეშმაკმა უწყის, ვინ არის... მაგრამ, აგერ, მოვედით კიდეც და თვითონვე შეისწავლეთ მისი პიროვნება.

ვინრო ჩიხში შევუხვით, პატარა კარი შევალეთ და ჰოსპიტალში აღმოვჩნდით. დაბალი, თალიანი ტალანი გავიარეთ და ქიმიურ ლაბორატორიაში შევედით.

ფართო, მაღალჭერიან ოთახში მხოლოდ ერთი კაცი დავინახეთ. იგი მაგიდაზე დახრილიყო და გატაცებით მუშაობდა.

– ვიპოვე! ვიპოვე! – აღტაცებული შეძახილით ამცნო ჩემს თანამგზავს და სინჯარით ხელში შემოგვეგება, – ვიპოვე რეაქტივი, რომელიც მხოლოდ ჰემოგლობინის შენაერთში ილექება.

ოქროს საბადო რომ აღმოეჩინა, ალბათ მაშინაც არ გაუბრწყინდებოდა ასე სახე.

– დოქტორი უოტსონი, მისტერ შერლოკ ჰოლმსი, – გაგვაცნო ერთმანეთი სტიმფორდმა.

– როგორ ბრძანდებით? – მკითხა ჰოლმსმა და ხელი ისე ძლიერად ჩამომართვა, რომ სახტად დავრჩი, – როგორც ვხედავ, ავლანეთში ყოფილხართ.

– ეს საიდან გაიგეთ? – ვკითხე გაოცებულმა.

– უბრალო დაკვირვების ამბავია, – მიპასუხა და თავისთვის ჩაიცინა, – მაგრამ ახლა ჰემოგლობინზე ვლაპარაკობთ. ალბათ აფასებთ ჩემს აღმოჩენას!

– მეცნიერული თვალსაზრისით უდავოდ საინტერესოა, – ვუპასუხე მე, – მაგრამ პრაქტიკულად...

– მომიტევეთ, მაგრამ სასამართლო მედიცინაში უკანასკნელ წლებში ეს ყველაზე პრაქტიკული აღმოჩენაა. განა არ გესმით, რომ ეს აღმოჩენა სისხლის ლაქების ამოცნობის უტყუარ ხერხს გვაძლევს? – ამ სიტყვებზე პალტოს სახელოში ხელი ჩამავლო და მაგიდისაკენ ძალით წამათრია, – ავიღოთ ახალი სისხლი, – თითში გრძელი ნემსი იჩხვლიტა და პიპეტით წვეთი სისხლი ამოიღო, – ნახეთ, ამ სისხლს მე გაგხსნი ლიტრ წყალში. როგორც ხედავთ, ნარევი სუფთა წყალსა ჰგავს. სისხლის პროცენტი არ აღემატება ერთ მილიონედს და მაინც ეჭვი არ მეპარება, რომ დამახასიათებელი რეაქციის მიღებას შევძლებთ, – ჭურჭელში რამდენიმე თეთრი კრისტალი ჩააგდო და ცოტაოდენი გამჭვირვალე სითხე ჩაამატა. წყალი იმწამსვე მუქ ალისფრად შეიღება, მინის ქილის ძირზე კი ყავისფერი ნაწილაკები დაილექა, – ჰა! ჰა! – შეჰყვირა ჰოლმსმა და სათამაშოთი გახარებული ყმანვილივით ტაში შემოჰკრა, – ამაზე რას იტყვით?

– ეს, როგორც ეტყობა, ძალიან საინტერესო ცდა უნდა იყოს, – შევნიშნე მე.

– საუცხოო! ჩინებული! განსაზღვრის ძველი მეთოდები

მეტისმეტად რთული და არასაიმედო იყო. ასე, მაგალითად, სისხლის ბურთულების მიკროსკოპული ანალიზი არაფრის მაქნისია, თუ სისხლი სრულიად ახალი არ იქნა. ჩემი მეთოდი კი საიმედოა, იმის მიუხედავად, სისხლი ახალია თუ არა. ეს მეთოდი რომ ადრე აღმოეჩინათ, ასობით დამნაშავე, დღეს რომ თავისუფლად დაპარპაშებს, დიდი ხნის წინ წარდგებოდა მართლმსაჯულების წინაშე. სისხლის სამართლის საქმეები მუდამ ამ წერტილის გარშემო ტრიალებდა. როცა ადამიანს ბრალდებოდა რამდენიმე თვის წინ ჩადენილი დანაშაული, იკვლევდნენ მის თეთრეულს, აღმოაჩენდნენ მუქ ლაქებს და ექსპერტების წინაშე ისმებოდა კითხვა: რა იყო ეს? სისხლის ლაქები თუ ჭუჭყისა? იქნებ ჟანგის ან ხილის? ეს კითხვა აბნევდა მათ, რადგან არ არსებობდა გამოკვლევის საიმედო მეთოდი. ამიერიდან კი იარსებებს შერლოკ ჰოლმსის მეთოდი და ყველა სიძნელე გადალახული იქნება.

– მოსალოცად გქონიათ საქმე, – ვუთხარი მისი ასეთი ენთუზიაზმით აღტაცებულმა.

– მაგონდება ფონ ბიშოფის საქმე, შარშან რომ მოხდა ფრანკფურტში. ბიშოფს, რა თქმა უნდა, ჩამოახრჩობდნენ, ეს მეთოდი რომ აღმოჩენილი ყოფილიყო. ახლა მეზონის საქმე ბრადფორდში, სახელგანთქმული მიულერის, ლეფევრისა – მონპელიეში, და სამსონისა – ახალ ორლეანში?! შემძლია დავასახელო ოცი შემთხვევა, როცა გამოკვლევის ამ მეთოდს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

– თქვენ სისხლის სამართლის საქმეების ცოცხალი კალენდარი ხართ, – შენიშნა სტემფორდმა, – შეგეძლოთ გაზეთიც გამოგეცათ ასეთი სათაურით: „გასულ წლებში მომხდარი სისხლის სამართლის ახალი ამბები“.

– ძალიან საინტერესო იქნებოდა, – ჰოლმსმა ნაჩხვლევად გიღებე სალბუნის პატარა ნაჭერი დაიდო, – დიდი სიფ-

როხილე მმართვებს, რადგან ათასნაირ შხამთან მაქვს საქმე.

მან ამ სიტყვებზე ხელი უნებლიეთ წინ წამოსწია და შევნიშნე, რომ იგი ერთიანად აჭრელებული ჰქონდა სალბუნის ასეთივე ნაჭრებითა და ძლიერმოქმედი მუავების ლაქებით.

– ჩვენ საქმეზე მოვედით, – ამცნო სტემფორდმა, სამფეხა სკამზე ჩამოჯდა და ფეხით მეორე სკამი მიიჩოჩა, – ჩემი მეგობარი ბინას ეძებს და რაკი თქვენც შემომჩვილეთ, ამხანაგი ვერ მიშოვიაო, გადავწყვიტე თქვენთვის უოტსონი გამეცნო.

შერლოკ ჰოლმსს შეეტყო, რომ ჭკუაში დაუჯდა ჩემთან ერთად დასახლების იდეა.

– ერთი პატარა ბინა მომივიდა თვალში ბეიკერ-სტრიტზე, – თქვა მან, – დანუნებით ვერაფერს დაუნუნებთ. იმედი მაქვს, მაგარი თამბაქოს სუნის საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ.

– მე თვითონ ყოველთვის მაგარ თამბაქოს ვენევი.

– ჰოდა, ჩინებულია. საქმე ქიმიურ ნივთიერებებთან მაქვს და ხშირად ვანარმოებ ცდებს. ეს ხომ არ შეგიშლით ხელს?

– სრულიადაც არა.

– ჰო, კიდევ ერთი ნაკლი მაქვს – ხანდახან ვმუნჯდები და მთელი დღეები კრინტს არ ვძრავ ხოლმე. ასეთ დროს არ იფიქროთ, რომ ვიბუტები. ყურადღებას ნუ მომაქცევთ, მალე შუბლი ისევ გამეხსნება. თქვენ რა მავნე ჩვევა გაქვთ? სანამ ერთად დავსახლდებით, ჯობია წინასწარ ვიცოდეთ ერთმანეთის ნაკლოვანებანი.

ამ დაკითხვაზე გამეცინა.

– მე ლეკვი მყავს. კიდევ ხმაურს ვერ ვეგუები, ნერვები არა მაქვს წესრიგში. სრულიად უჩვეულო დროს ვდგები და უაღრესად ზარმაცი ვარ.

– ვიოლინოს დაკვრას ხომ არ მიაკუთვნებთ ხმაურთა

კატეგორიას? – მკითხა მოულოდნელად ჰოლმსმა.

– ეს დაკვრაზეა დამოკიდებული, – ვუპასუხე მე, – ვი-
ოლინოს კარგი დაკვრა ღმერთების ზიარია, ცუდი დაკვრა...

– ყველაფერი რიგზეა, – მხიარულად გაიცინა ჰოლმსმა, –
შეგვიძლია საქმე მოგვარებულად ჩავთვალოთ, თუ ბინაც
მოგენონებათ.

– მაშ, წამოვიდე და ვნახო?

– შემოიარეთ ხვალ თორმეტი საათისთვის, ერთად წავი-
დეთ.

– ძალიან კარგი, ზუსტად თორმეტზე, – ვუპასუხე და ხე-
ლი ჩამოვართვი.

ჰოლმსისგან წამოვედით და სტემფორდთან ერთად ჩემს
სასტუმროს მივაშურე.

– სხვათა შორის, ძალიან მაინტერესებს, საიდან გაიგო,
რომ ავლანეთიდან ჩამოვედი? – ვკითხე მეგობარს უკანა
გზაზე.

პასუხად მან უცნაურად გაიღიმა.

– სწორედ ეს გახლავთ ამ კაცის თავისებურება. ბევრმა
უკვე სცადა იმის გამოცნობა, თუ როგორ ხვდება ასეთ რა-
მეებს.

– ეს პირდაპირ საიდუმლოებით მოცული ამბავია. ძლიერ
მადლობელი ვარ, რომ ერთმანეთს შეგვახვედრეთ.

– დააკვირდით და შეისწავლეთ ეს საინტერესო კაცი, –
მითხრა სტემფორდმა გამომშვიდობებისას, – ეს იოლი რო-
დია... სანაძლეოს ვდებ, მან უკვე გაცილებით მეტი იცის
თქვენზე, ვიდრე თქვენ მასზე შემდეგ შეიტყობთ. ნახვამდის!

– ნახვამდის! – დავემშვიდობე მეც და, ჩემი ნაცნობით
ძალზე დაინტერესებული, სასტუმროში შევედი.

დასკვნის გამოცანის ხელოვნება

მეორე დღეს ერთმანეთს შევხვდით და დავათვალიერეთ ბეიკერ-სტრიტზე მდებარე ბინა №221-ბ, რომელსაც ჰქონდა ორი კარგი სანოლი ოთახი და კოხტად მოწყობილი ფართო სასტუმრო ორი დიდი ფანჯრით. იმავე საღამოს გადავედი სასტუმროდან, მეორე დღეს კი შერლოკ ჰოლმსმა გადმოიტანა თავისი ყუთები და პორტპლედები.

ჰოლმსთან შეწყობა ადვილი საქმე აღმოჩნდა. ხმაური არ უყვარდა და წესიერ ცხოვრებას ეწეოდა. ცხრაზე ადრე იშვიათად წვებოდა და საუზმობას ჩემს ადგომამდე ასწრებდა. ზოგჯერ მთელ დღეს ქიმიურ ლაბორატორიაში ატარებდა, ხან პროზექტურაში დადიოდა, ხან კი საათობით დაეხეტებოდა ქალაქში, თანაც სასეირნოდ ლონდონის ყველაზე საექვო უბნებს ირჩევდა. როცა სათავისო საქმე შეხვდებოდა, წარმოუდგენელი გატაცებით შეუდგებოდა მუშაობას, მაგრამ დროგამოშვებით გუნება ეცვლებოდა და მაშინ მთელი დღეები იწვა ხოლმე სასტუმრო ოთახში დივანზე, დანა პირს არ უხსნიდა და სიტყვას მაჯაგანითაც ვერ ამოართმევდი.

ჩემი ინტერესი ჰოლმსისა და იმ მიზნების მიმართ, რომელთაც ის ცხოვრებაში ისახავდა, დღითი დღე იზრდებოდა. იგი თავისი გარეგნობითაც იქცევდა ყურადღებას. ექვსი ფუტი სიმაღლე ჰქონდა და ისეთი აღნაგობისა იყო, რომ უფრო მაღალი მოგეჩვენებოდათ. ცოცხალი, გამჭრიახი თვალები და ვიწრო, ქორისებური ცხვირი მის სახეს ცოცხალ და შეუპოვარ იერს აძლევდა.

თვალში გეცემოდათ მისი წინ გამონეული, ძლიერი ნებისყოფის ადამიანებისათვის დამახასიათებელი ნიკაპი. ხელები

ყოველთვის დალაქავებული ჰქონდა მეღმერთა და ათასგვარი ქიმიური ნივთიერებით, მაგრამ არაჩვეულებრივად ფაქიზი შეხების გრძნობა გააჩნდა, რაც არაერთხელ შემინიშნავს, როცა მყიფე ხელსაწყოებზე მანიპულაციებს აწარმოებდა.

მედიცინას არ სწავლობდა. მგონი, არც ერთი ისეთი სასწავლებელი არ ჰქონდა დამთავრებული, სწავლულთა სამყაროსაკენ გზას რომ გაუხსნიდა. ამის მიუხედავად, განსაკუთრებული გულმოდგინებით აწარმოებდა თავის კვლევას. მისი ცოდნა, მართალია, გარკვეულ ჩარჩოებში იჯდა, მაგრამ განსაცვიფრებლად ფართო და დეტალური იყო. რა თქმა უნდა, ასე შეუპოვრად ზუსტი ცნობების კვლევაზე მუშაობას არავინ გამოედევნება, თუ გარკვეული მიზანი არა აქვს.

ბეიკერ-სტრიტზე ჩვენი ცხოვრების პირველ კვირას არავის შემოუვლია და, ის იყო გავიფიქრე, ჰოლმსიც ალბათ ჩემსავით მარტოხელა, უთვისტომო კაცია-მეთქი, რომ მალე დავრწმუნდი, მას მრავალი ნაცნობი ჰყავდა, თანაც სულ სხვადასხვა წრეში. ერთი პატარა, ფერმკრთალი კაცი დაიარებოდა, ვირთხასავით სახითა და შავი თვალებით. მისტერ ლესტრეიდად გამაცნო. კვირაში ორ-სამჯერ მაინც ნახულობდა ჰოლმსს.

ერთ დღილას კარგად ჩაცმული ქალიშვილი მოვიდა, ნახევარ საათს დარჩა, თუ მეტხანს არა; მერე საცოდავი გარეგნობის, ძლიერ აღელვებული ჭაღარა კაციც გვესტუმრა; მას ხნიერი ქალი მოჰყვა; ცოტა ხნის შემდეგ მოხუცი ჯენტლმენი გვეახლა, მეორე დღეს – რკინიგზის დარაჯი. როცა მნახველები მოდიოდნენ, შერლოკ ჰოლმსი, ჩვეულებისამებრ, მთხოვდა, სასტუმრო ოთახი დამეთმო, და მეც ჩემს ოთახში გავდიოდი. ასეთი უხერხულობისთვის ყოველთვის ბოდიშს მიხდიდა. ამ ოთახს სამუშაო კაბინეტად ვიყენებ, სხვა გზა